ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:№44. 442403117
თარიღი:31/01/2024

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტში „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ქალაქ ქუთაისის მაცხოვრებლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სერვისების გასაუმჯობესებელი ინოვაციური რეკომენდაციების შესამუშავებელი მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის წესისა დაპირობების, განაცხადის ფორმისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტს „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“. პროექტის ზოგადი მიზანია ქუთაისის გადაქცევა კარგ საცხოვრებელ და საინვესტიციო ქალაქად. კონკრეტულად კი ქუთაისის, იმერეთის დანარჩენი, გურიის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში შესაძლებლობის შექმნა ეფექტიანი წვლილის შესატანად ინტეგრირებულ ტერიტორიულ განვითარებაში მაღალი ხარისხის საჯარო სერვისებით, მათი პოტენციალის, კომპეტენციებისა და ანგარიშვალდებულობის გაზრდით. პროექტი ეხმარება ქუთაისის მუნიციპალიტეტს შექმნას პირობები ქალაქში სოციალური ინკლუზიურობის, ბიზნესის განვითარებისა და შემოსავლის მისაღებად. პროექტის აქტივობებს შორის არის მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერა შემდეგი მიმართულებებით:

· ინოვაციური რეკომენდაციების შემუშავება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სერვისების გასაუმჯობესებლად მაცხოვრებლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისთვის;

· მოსახლეობის სოციალური გააქტიურების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობის და დასაქმებისთვის;

· პროდუქტებისა და სერვისების აღდგენა/დაბრუნებაში, რომლებიც წარმოადგენდნენ ტერიტორიის ისტორიულად მნიშვნელოვან აქტივებს;

· გადამუშავების, ადგილობრივი პროდუქციის შესათავაზებლად ტექნოლოგიებისა და სერვისების, გასაღების ახალი არხების შეთავაზებისთვის, მათ შორის IT ინსტრუმენტები, ახალი დიზაინი, შეფუთვა, ბაზრობები და გამოფენები;

· ფინანსური მხარდაჭერა გაცემა კონკურისის საფუძველზე.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტი „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის" საფუძველზე; **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გამოცხადდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438- 693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში ქალაქ ქუთაისის მაცხოვრებლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სერვისების გასაუმჯობესებელი ინოვაციური რეკომენდაციების შესამუშავებელი მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსი 2024 წლის 31 იანვრიდან.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში ქალაქ ქუთაისის მაცხოვრებლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სერვისების გასაუმჯობესებელი ინოვაციური რეკომენდაციების შესამუშავებელი მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მსურველებს განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ 2024 წლის **31 იანვრიდან 2024 წლის 1 მარტის 18 : 00 საათამდე.**

3. ქალაქ ქუთაისის მაცხოვრებლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სერვისების გასაუმჯობესებელი ინოვაციური რეკომენდაციების შესამუშავებელი მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღები კონკურსის წესი და პირობები N1 დანართის შესაბამისად.

/დანართი N1 ბრძანებას თან ერთვის/

4. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მაცხოვრებლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სერვისების გასაუმჯობესებელი ინოვაციური რეკომენდაციების შესამუშავებელი მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის განაცხადის ფორმა N2 დანართის შესაბამისად.

/დანართი N2 ბრძანებას თან ერთვის/

5. შეიქმნას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერის მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა/. თამარ დახუნდარიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ/. ზვიად არჩუაძე - ააიპ „მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბის“ დირექტორი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ/. დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

დ/. თინათინ ბერიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ე/. პეტრე ადამაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ვ/. ლელა მაჩაიძე - პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ გუნდის ლიდერი - კომისიის წევრი;

ზ/. დავითი ჩხობაძე - ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრის“ დირექტორი - კომისიის წევრი;

თ/. ირაკლი თევზაძე - ააიპ „სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“-ს გენერალური მდივნის მოადგილე - კომისიის წევრი;

ი/. ემზარ ღვინიანიძე - „იმერეთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

კ/. თეა ფორინავა - ააიპ „ქალთა ფონდი სოხუმი“-ს გამგეობის წევრი, აღმასრულებელი დირექტორი - კომისიის წევრი.

6. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438- 693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერის მიმღები კომისიის დებულება N3 დანართის შესაბამისად.

/დანართი N3 ბრძანებას თან ერთვის/

7. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

10. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი